

## **ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 3 კვარტლის შესრულების მიმოხილვა**

მოგახსენებთ, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა 2017 წლის 28 დეკემბრის №57 დადგენილებით. დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობები და ხარჯები განსაზღვრული იქნა 8884.400 ათასი ლარით. რაც შეეხება 2018 წლის 3 კვარტლის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გეგმებს შემოსულობებისა და ხარჯების ნაწილში - შეადგინა 9497,359 ათასი ლარი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2018 წლის 3 კვარტლის შემოსავლების დაზუსტებული გეგმა იყო 8645,979 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 6965,405 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 80 პროცენტით. მათ შორის შემოსავლების სახეების მიხედვით:

გადასახადების გეგმა იყო 1237,0 ათასი ლარი, შემოვიდა 1234,0 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 99 პროცენტით. სხვა შემოსავლების გეგმა იყო 521,8 ათასი ლარი, შემოვიდა 661,6 ათასი ლარი, გეგმის შესრულებამ შეადგინა 126 პროცენტი. ამავე პერიოდში შემოვიდა გრანტები 5069,7 ათასი ლარი. გეგმით გათვალისწინებული იყო 6887,1 ათას ლარი.

2018 წლის ნაშთის ცვლილებამ შეადგინა 851,3 ათასი ლარი.

2018 წლის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ ნაშთის ჩათვლით შეადგინა 9497,3 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 8762,5 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 92 პროცენტით.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის გადასახდელების (ხარჯების) გეგმა იყო 9497,3 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 5906,7 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 62 პროცენტით. ხარჯები განკულია ეკონომიკით. მათ შორის:

1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 481,2 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 409,2 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 85 პროცენტით.
2. მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 1424,0 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 1131,9 ათასი ლარი (79%).
3. ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს ამაღლების ხელშეწყობისათვის გეგმიური 85,2 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯული იქნა 66,8 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 78 პროცენტით.
4. ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციისათვის ხარჯები გეგმით გათვალისწინებული იყო 4289,8 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 1664,7 ათასი ლარი (39%).
5. საგანმანათლებლო ღონისძიებებისათვის ხარჯები განსაზღვრული იქნა 1767,0 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 1536,0 ათასი ლარი (87%).

6. კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობის და სპორტის ხელშეწყობის სამსახურის ხარჯების გეგმა იყო 889,9 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 687,0 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 77 პროცენტით.
7. მოსახლეობის კანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ორგანიზაციებისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 497,0 ათასი ლარი, ფაქტურად გაიხარჯა 410,7 ათასი ლარი (82%).
8. მერის ბრძანებებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და გახარჯული თანხის ოდენობამ შეადგინა 5,0 ათასი ლარი.

ბიუჯეტის შესრულება თან ერთვის.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის  
საფინანსო სამსახურის უფროსი:

/გ. მანგოშვილი/